



სასწავლო მასალების კრებული Google-ის ზოგიერთი სერვისის შესახებ- 1 ნაწილი Google translate-ის გამოყენება Google account -ის შექმნა

სასწავლო მასალა მომზადებულია დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის მიერ დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან ერთად პროექტის „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი GOOGLE MAP-ზე“ ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD III ფაზა) მიერ და მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის, პროექტ „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“-ის ინიციატივა „ჭკვიანი სოფლები (Smart Villages)-ს ფარგლებში.

მასალის მომზადებისას გამოყენებულია ინფორმაცია საიტიდან: <https://support.google.com/>

სასწავლო მასალების სრული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ ასოციაციის საიტზე: <http://dtda.ge/>



„Google-ის“ იდეა პირველად 1996 წლის იანვარში სამეცნიერო-კვლევით პროექტში დაიბადა სტენფორდის უნივერსიტეტში, რომლის ავტორები იყვნენ ლერი პეიჯი და სერგეი ბრინი. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ სრულყოფილი საძიებო სისტემა, რომელიც ყველას მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. პირველ საძიებო სისტემას, რომელიც შექმნეს „BackRub“ უწოდეს. ცოტა ხნის შემდგომ შეცვალეს სახელი და „გუგლი“ დაარქვეს, რომელიც დაკავშირებულია მათემატიკურ ტერმინთან „Googol“ და ნიშნავს რიცხვს 1-ს მოყოლებული ასი ნული. ამ სისტემის შემქმნელები ამბობდნენ, რომ სურდათ „გუგლი“ მომსახურებოდა ადამიანებს რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის საშუალებით.

სერვისები

„Google-ის“ საძიებო სისტემას უკავია მსოფლიო ბაზრის 60 %-ზე მეტი ნაწილი. ყოველდღიურად ის არეგისტრირებს ძიებაზე 50 მილიონზე მეტ ახალ მოთხოვნას და 8 მილიარდ ვებ-გვერდს უკეთებს ინდექსირებას. მას შეუძლია ინფორმაციის 191 ენაზე მოძიება. მისი ინტეგრირის საშუალებას გვაძლევს მოვიძიოთ ინფორმაცია, რთული თანწყობილი ან ქვეწყობილი კითხვითი წინადადების დასმის დროსაც კი. შეზღუდვები სისტემას აძლევს საშუალებას ელვის სისწრაფით გაფილტროს არა საჭირო ინფორმაცია და მოგვიძიოს მხოლოდ ჩვენთვის ღირებული.

ათი პრინციპი, რასაც კომპანია იყენებს სამუშაო პროცესში:

- მთავარი აქცენტი მომხმარებელზე უნდა გაკეთდეს, კმაყოფილი მომხმარებელი წარმატების გარანტიაა
- ყველაზე უკეთესია, როდესაც ერთ საქმეს კარგად, მართლაც ძალიან კარგად აკეთებ;
- „სწრაფად“ ჯობია „ნელას“;
- ვებ-სივრცე ჯანსაღი უნდა იყოს;
- პასუხის მიღება უნდა შეძლო ყველგან და არა - მხოლოდ სამუშაო მაგიდასთან;

Improving Rural Development in Georgia - UNDP Dedoplistskaro Municipality on Google Maps

- ფულის შოვნა ბოროტების ჩადენის გარეშე შეიძლება;
- სადღაც სხვაგან ყოველთვის შეიძლება მეტი ინფორმაციის მოძიება;
- მოთხოვნა ინფორმაციაზე საზღვრებს არ ემორჩილება;
- შენ შეგიძლია იყო სერიოზული სამუშაო ფორმის გარეშე;
- შეიძლება ის, რასაც მიაღწიე, დიდებულია, მაგრამ სრულყოფილი მაინც არ არის.

Google-ს აქვს უამრავი საჭირო და საინტერესო სერვისი, რომლებიც ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზეა მორგებული. ამ სერვისების სია შეგიძლიათ ნახოთ ინტერნეტში.

https://en.wikipedia.org/wiki/List_of_Google_products

როგორ გამოვიყენოთ Google Translate



Google Translate ეს არის [Google-ის ვებ-სერვისი](#), რომელიც სხვა ენაზე. თარგმნის:


- ტექსტს ან ტექსტის ნაწილს
- საიტებს-ვებგვერდებს
- დოკუმენტებს

სისტემას აქვს აგრეთვე ფუნქცია, რომელიც ახმოვანებს ტექსტს. Google Translate-ში მხარდაჭერილია 103 ენა, მათ შორისაა [ქართული](#).

მისი გამოყენებით შეგიძლიათ მთლიანი ვებგვერდების და დოკუმენტების თარგმნა.

ტექსტის თარგმნა

1. თქვენს კომპიუტერში გადადით Google Translate- ზე:



2. ტექსტის მარცხენა განყოფილებაში აირჩიეთ ენა, რომლიდან თარგმნაც გინდათ. ამისათვის „ენის განსაზღვრის“ ზოლში ვეძებთ ან ვიყენებთ . ისარს. სასურველ ენაზე ვაწკაპუნებთ და იგი გამოჩნდება ენის განსაზღვრის ზოლში ლურჯი ფერით.




3. ტექსტის მარცხენა განყოფილებაში შეიტანეთ საიტის URL მისამართი. (საიტის მისამართის ზოლში მაუსის მარჯვენა ღილაკით 1-ხელ დაწკაპუნებით მისამართი მოინიშნება და გამოჩნდება ბრძანებების ფანჯარა. მასში მარცხენა ღილაკით ვაწკაპუნებთ copy ან копировать ბრძანებაზე (ან

Improving Rural Development in Georgia - UNDP Dedoplistskaro Municipality on Google Maps

კლავიატურის Ctrl+C ღილაკებით). შემდეგ დამახსოვრებულ URL მისამართს ბრძანებით Paste ან Ctrl+ V ღილაკებით ვსვამთ Google Translate-ის ტექსტის მარცხენა განყოფილებაში).




4. იმ ენის ასარჩევად, რომელზეც გსურთ თარგმნა, Google Translate-ის მარჯვენა განყოფილებაში ზედა მარჯვენა კუთხეში დააწკაპუნეთ . ისარზე. ენის არჩევის შემდეგ მარჯვენა განყოფილებაშიც ჩაწერეთ URL მისამართი და მასუსით დააწკაპუნეთ. (ან კლავიატურის ღილაკი Enter). URL გახსნის ახალ ჩანართს და ვებგვერდი ითარგმნება.

დოკუმენტების თარგმნა

თქვენ შეგიძლიათ თარგმნოთ დოკუმენტები 10 მბ -მდე ნებისმიერი ამ ფორმატით: .doc, .docx, .odf, .pdf, .ppt, .pptx, .ps, .rtf, .txt, .xls, .xlsx.


1. თქვენს კომპიუტერში გადადით Google Translate- ზე.
2. ზედა მარცხენა კუთხეში დააწკაპუნეთ დოკუმენტებზე.



3. დააწკაპუნეთ, დაათვალიერეთ თქვენი კომპიუტერი და იპოვეთ ფაილი, რომლის თარგმნაც გსურთ.
4. იმ ენის ასარჩევად, რომელზეც გსურთ თარგმნა, ზედა მარჯვენა კუთხეში დააწკაპუნეთ ქვემოთ ისარს.
5. დააწკაპუნეთ თარგმნაზე.

თქვენ შეგიძლიათ თარგმნოთ დოკუმენტები მხოლოდ საშუალო და დიდ ეკრანებზე. თარგმანის შემდეგ შეიძლება დაიკარგოს ზოგიერთი ორიგინალური ფორმატირება.

თარგმნა ძებნის დროს:




საძიებო ზოლში უცხოენოვანი საიტის სახელის ჩაწერისას გამოჩნდება ძიების შედეგები:

ამ გვერდის გახსნით ჩნდება ესტონური საიტი:

Improving Rural Development in Georgia - UNDP Dedoplistskaro Municipality on Google Maps



მარჯვენა კუთხის ფანჯარაში ვარჩევთ სასურველ ენას:




ესტონურენოვანი საიტი ითარგმნა ქართულ ენაზე:

Improving Rural Development in Georgia - UNDP Dedoplistskaro Municipality on Google Maps



კიდევ ერთი ხერხი:



შედეგების გასწვრივ ჩანს „გადათარგმნეთ ეს გვერდი“. მასზე დაწკაპუნებით ჩნდება თარგმანი.

უფრო მოსახერხებელი თარგმნის დაწყებისას მარჯვნივ ჩანს თარგმანის ფანჯარაც:



სადაც ასევე შეიძლება ენის არჩევა კუთხეში „წერტილებზე“ დაწკაპუნებით:



სხვა ხერხიც არსებობს:

თქვენს კომპიუტერში გახსენით Chrome.
გადადით სხვა ენაზე დაწერილ ვებ გვერდზე.
ზედა ნაწილში დააწკაპუნეთ თარგმნაზე.


Google Translate გთავაზობთ მარტივ და სწრაფ გზას თქვენი მთელი ვებსაიტის თარგმნისთვის, თუ გაქვთ საიტი, Google Translate -ის დახმარებით თქვენ შეძლებთ, ნახოთ ერთი ენიდან (მაგ. ინგლისური) სხვა ენაზე თქვენი ვებსაიტის ნათარგმნი ვერსია. თარგმნის ხელსაწყოების ზედა პანელი საშუალებას გაძლევთ ჩამოსაშლელი მენიუს გამოყენებით სწრაფად შეცვალოთ თარგმანის ენა. თუმცა, დაინახავთ, რომ ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა უთარგმნელი რჩება. ეს ხდება იმის გამო, რომ Google Translate თარგმნის მხოლოდ რეალურ ტექსტს ვებ გვერდზე და უგულებელყოფს ნებისმიერ ტექსტს, რომელიც ჩანს სურათზე. იგივე ეხება Google Chrome-ის ავტომატური თარგმნის ვარიანტს.

Improving Rural Development in Georgia - UNDP Dedoplistskaro Municipality on Google Maps


რა თქმა უნდა, ასეთი თარგმანი არ არის იდეალური გადაწყვეტა, მაგრამ საიტის ან ტექსტის შინაარსის გაგება გაგიადვილებთ საქმიანობას.

Google -ს აქვს თარგმნასთან დაკავშირებული სხვა სერვისები და აპლიკაციებიც, მაგალითად, Google Translate-Transcribe- რომელიც გამოიყენება ტექსტის რეალურ რეჟიმში სათარგმნად, მაგრამ მას ჯერ არ აქვს ქართული ენის მხარდაჭერა.

Google Translate -ს აქვს ასევე ღილაკები: ისტორია, შენახული და წვლილის შეტანა



ამ ღილაკების გამოსაყენებლად შესული უნდა იყოს თქვენს Google ანგარიშში. შეგიძლიათ, დაეხმაროთ Google Translate-ს, უკეთესად „ისწავლოს“ ქართული ენა და ფრაზეოლოგია, თუკი გახდებით Google Translate-ს კონტრიბუტორი. ²¹ ანუ შეიტანთ თქვენს წვლილს თარგმანის გაუმჯობესებაში. ამ დროს სავალდებულოა გრამატიკის და მართლწერის წესების დაცვა.



საზღვარგარეთ მოგზაურობისას შესაძლებელია თარგმანისთვის Google Pixel Buds -ის გამოყენებაც მოწყობილობის Android სისტემისთვის. ჯერჯერობით, არც ამ აპლიკაციას აქვს ქართული ენის მხარდაჭერა.

Google ანგარიში (Google Account)

გარკვეული სერვისებით ყველა მომხმარებელს შეუძლია სარგებლობა სპეციალური რეგისტრაციის გარეშეც, მაგრამ თუ გაცვთ Google ანგარიში (Google Account), გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებთ Google სერვისების გამოყენებით.

Improving Rural Development in Georgia - UNDP Dedoplistskaro Municipality on Google Maps

Google-ის ზოგიერთ სერვისზე წვდომისთვის მომხმარებელმა უნდა შექმნას Google ანგარიში გარკვეული ინფორმაციის მიწოდებით (ჩვეულებრივ სახელი, ელფოსტის მისამართი და პაროლი). ეს მონაცემები გამოყენებული იქნება Google-ის სერვისებით ავთენტიფიკაციისთვის და თავისი ანგარიშის არავტორიზებული წვდომისგან დასაცავად. მომხმარებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან თუნდაც წაშალოს თავისი Google ანგარიშის პარამეტრები.

როდესაც ქმნით Google ანგარიშს თქვენი ბიზნესისთვის, შეგიძლიათ ჩართოთ ბიზნესის პერსონალიზაცია. ბიზნეს ანგარიში ასევე აადვილებს Google My Business-ის დაყენებას, რაც ხელს უწყობს თქვენი ბიზნესის ხილვადობის გაუმჯობესებას და თქვენი ონლაინ ინფორმაციის მართვას.

Google ანგარიშით ასევე შეგიძლიათ:

- გაგზავნოთ და მიიღოთ ელექტრონული წერილი Gmail-ის გამოყენებით
- იპოვოთ თქვენი ახალი საყვარელი ვიდეო YouTube-ზე
- ჩამოტვირთოთ აპლიკაციები Google Play-დან

შესაძლოა, თქვენ უკვე გაქვთ Gmail ანუ Google-ის ელექტრონული ფოსტის სერვისი, ამით უფრო ადვილია ოპერირება, თუმცა სხვა ელექტრონული ფოსტის გამოყენებაც შეიძლება.

მაგრამ თუ ელექტრონული ფოსტა ჯერ არ გაქვთ, ახლა შეგიძლია შეექმნათ იგი.

საჭირო იქნება ინტერნეტი, პერსონალური კომპიუტერი ან ტელეფონი.

სასურველია, ტელეფონის იმ ნომრის გამოყენება, რომელიც ბიზნესს ან ბიზნესის მფლობელს ეკუთვნის.

რეკომენდაცია:

ბიზნესისთვის სჯობს გქონდეთ ცალკე ელექტრონული ფოსტა და ცალკე ტელეფონის ნომერი.

ახალი ანგარიშის შექმნა

ამისათვის შედიხართ Google chrome-ში



მარჯვენა კუთხეში ირჩევთ 9 წრეს, ე.წ. „ვაფლს“


Gmail Images



და ებებთ ფოსტას GMAIL.



Improving Rural Development in Georgia - UNDP
Dedoplistskaro Municipality on Google Maps



თუ გამოჩნდა თქვენს კომპიუტერში უკვე არსებული ელექტრონული ფოსტების სია, სიის ბოლოს ემებთ Change account / сменить аккаунт და მასზე აწკაპუნებთ.

გამოჩნდება ფანჯარა

თუ უკვე გაქვთ Google ელ-ფოსტა, ამ ცარიელ ველში შეგიძლიათ, ჩაწეროთ მისამართი და გააგრძელოთ ფოსტაში შესვლა. თუ ფოსტა ჯერ არ გაქვთ, აქ ემებთ ბრძანებას „ანგარიშის შექმნა“ create account / создать аккаунт და მასზე აწკაპუნებთ.

გამოჩნდება არჩევანი: ვისთვის/რისთვის გინდათ ანგარიშის შექმნა.

როგორც უკვე ვთქვით, **სასურველი და რეკომენდებულია, რომ ბიზნესისთვის გქონდეთ ცალკე ანგარიში, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი.**



ფანჯრის ქვედა ზოლში შეგიძლიათ სამუშაო ენის არჩევა.

ირჩევთ „ბიზნესის სამართავად“ for business .


გამოჩნდება ფანჯარა, სადაც თავისუფალ ველებში წერთ თქვენს

მონაცემებს. გამოიყენება ლათინური ასოები.შევსების შემდეგ აწკაპუნებთ ლურჯ ბრძანებაზე Next /Далее.

ტელეფონის ნომრის ჩასაწერ

ზოლში დროშებიდან ირჩევთ საქართველოს და ვწერთ ტელეფონის ნომერს (9 ნიშნა ნომერი)

ტელეფონის ნომრის დასადასტურებლად ტელეფონზე მოვა შეტყობინება Google-სგან ერთჯერადი კოდით. მაგალითად, G -669470.



კოდის შეტანისას პირველი ასო არ უნდა ჩაწეროთ, წერთ მხოლოდ ციფრებს.

Improving Rural Development in Georgia - UNDP Dedoplistskaro Municipality on Google Maps



აწკაპუნებთ „დადასტურება“-ზე და გადადიხართ მომდევნო ფანჯარაზე:

აქაც ავსებთ სათანადო ველებს.

სარეზერვო ელ. ფოსტის მითითება სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი. მისი მითითება გაძლევთ შესაძლებლობას, აღადგინოთ პაროლი, თუკი დაგავიწყდებათ.
დაბადების თარიღი:


დღე -იწერება რიცხვი

თვე რომ ჩაწეროთ, პაწია შავ სამკუთხედს უნდა დააწვეთ და ჩამოშლილი სიიდან ამოირჩიოთ თქვენთვის სასურველი თვე და მასზე დააწკაპუნოთ.

წელი იწერება პირდაპირ ციფრების აკრეფით.

სქესიც ირჩევა ჩამოშლილი სიიდან.

აწკაპუნებთ ლურჯ ბრძანებაზე Next /Далее.



გამოჩენილ ფანჯარაში თუ დააწკაპუნებთ ლურჯი ფერის სიტყვაზე „დაწვრილებით“ Подробнее ნახავთ ინფორმაციას, როგორ შეიძლება ტელეფონის ნომრის გამოყენება Google სერვისებისათვის:

- შეტყობინებებისა და ვიდეო ზარების მიღება

ვისთვისაც ცნობილია ტელეფონის ეს ნომერი, შეუძლიათ იგი გამოიყენონ თქვენთვის კონტენტის (შინაარსის) გასაზიარებლად, ასევე Google სერვისებში თქვენი პროფილის საპოვნელად, მაგალითად, როგორცაა შეტყობინებების გაცვლისა და ვიდეოკავშირისთვის.

- Google სერვისებისა და რეკლამების პერსონალიზაცია

მაგალითად, Google გამოიყენებს თქვენი ტელეფონის ნომერს, რათა გაჩვენოთ კომპანიების რეკლამები, რომლებთანაც რაღაც ფორმით უკვე ხართ დაკავშირებული. თუ თქვენ დაარეგისტრირებთ ნომერს ლოიალობის პროგრამაში, თქვენ გეძნებათ საშუალება ნახოთ შესაბამისი პროდუქციის რეკლამა ან ინფორმაცია აქციების შესახებ. გახსოვდეთ, Google არავის არ აძლევს/აცნობებს თავისი მომხმარებლის ნომერს.

თუ დააწკაპუნებთ „სხვა ვარიანტებზე“, გამოჩნდება ფანჯარა:

იგი საშუალებას გაძლევთ, აარჩიოთ, რა ფუნქციებისთვის გამოიყენებთ თქვენს ტელეფონის ნომერს.

ირჩევთ სასურველ ვარიანტს, აწკაპუნებთ და გადადიხართ „მზადაა“ შემდეგ ჩნდება Google სერვისის პირობები.

გამოჩენილი სერვისის პირობების ბოლოს „ჩამოსქროლავთ“ და ემებთ ლილავს „ვეთანხმები“.

თქვენი ანგარიში მზადაა

აწკაპუნებთ ბრძანებაზე „გაგრძელება“ Продолжить continue და უკვე შეგიძლიათ თქვენი კომპანიის პროფილის დამატება.

